საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თურქმანჩაის ზავი

თურქმანჩაის ზავი,ზავი რუსეთსა და ირანს შორის. დაიდო 1828 წ. 10 (22) თებერვალს სოფ. თურქმანჩაიში (თავრიზის მახლობლად). ამ ზავით დასრულდა რუსეთ-ირანის 1826–28 ომი. რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოები (აღმ. სომხეთი). რუსეთს დარჩა უპირატესი უფლება კასპიის ზღვაზე ჰყოლოდა სამხ. ფლოტი. ირანს დაეკისრა 20 მლნ. მან. კონტრიბუცია. თ. ზ-მა განამტკიცა რუსეთის მდგომარეობა სამხრ. კავკასიაში და შეასუსტა ინგლისის პოზიციები ირანში. რუსეთს საშუალება მიეცა გადაეჭრა საქართველოს ისტ. ტერიტორიის – ჭარ-ბელაქნის საკითხი (ჭარი ირანის საყრდენი იყო რუსების წინააღმდეგ ომში). 1830 რუს. ჯარმა ჭარ-ბელაქანი ბრძოლით აიღო და იქ რუს. მმართველობა შემოიღო (იხ. საინგილო). თ. ზ-ს მტრულად შეხვდნენ ირანის მმართველი წრეები. მათი ანტირუსული პროპაგანდის შედეგი იყო თეირანში რუს. მისიის დარბევა და ა. გრიბოედოვის მკვლელობა 1829 წ. 30 იანვარს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.